არაფორმალური განათლება ცოდნის ტრანსფერისთვის

ავტორი: ქეთევან მიქაძე

არაფორმალური განათლება არის სასწავლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, არასაგაკვეთილო დროსა და სივრცეში. არაფორმალური განათლება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს მისთვის საინტერესო თემებს, იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი და მეგობრებთან ერთად , ინტერესებიდან გამომდინარე, დაგეგმოს, განახორციელოს ბევრი საინტერესო აქტივობა. ასეთი სწავლებისას მოსწავლე თავისუფალია. სასწავლო პროცესი მასზეა მორგებული, მასზეა ორიენტირებული, რაც მოსწავლეების დაინტერესებას იწვევს. ინტერესი კი ზრდის მოტივაციას.

არაფორმალური სწავლებისას მოსწავლეები არიან სწავლების აქტიური მონაწილეები, მშობლები და მათი ოჯახები კი ჩართულები არიან არაფორმალური განათლების პროგრამის განხორციელებაში. თანამშრომლობა სკოლასა და ოჯახს შორის ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია.

არაფორმალური განათლება არის ფორმალური განათლების გაგრძელება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული
უნარების, ცხოვრებისეული და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებას. ამ
უნარების დაუფლებით, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადება ახალგაზრდა
და ხდება თავდაჯერებული.

ტერმინი „არაფორმალური განათლება“ გაჩნდა 1960-იან წლებში. 1973 წელს ფილიპ ჰ. კუმბსმა, პროსერმა და აჰმედმა დაადგინეს ფორმალური და არაფორმალური განათლების განმარტებები:

ფორმალურ განათლებას აქვს იერარქიული სტრუქტურა, რომელიც ორგანიზებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განათლების სისტემაში. ის იწყება დაწყებით სკოლაში და მთავრდება უნივერსიტეტში.

არაფორმალური განათლება არის სასიცოცხლო პროცესი, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდი იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას. ეს კი მიიღება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ცოდნის დაკავშირებით.

განსხვავება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის:

ფორმალური განათლება:

- ორიენტირებულია სწავლაზე;
- ემსახურება გრძელვადიან ზოგად განათლებას, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის განვითარებას, ინდივიდში ცოდნის დაგროვებას;
- ფორმალური განათლება მომავალზეა ორიენტირებული.

არაფორმალური განათლება:

- ცნობილია როგორც მოკლევადიანი ან სპეციფიკური განათლება, რომელიც ემსახურება ინდივიდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;
- მიზნად ისახავს მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში არა მომავალში, არამედ ცოდნის მიღების დღიდან.
- მოკლევადიანია და მიზანზე ორიენტირებული.

არაფორმალური განათლების ერთ-ერთი საფუძველია სახალისო სწავლა. სავარჯიშოები, პრეზენტაციები, ინტერაქტიული ლექციები და ა. შ., ხელს უწყობს სხვადასხვა უნარების გამომუშავებას ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში. ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესს. ქვემოთ მოცემულია არაფორმალური განათლების რამდენიმე უპირატესობა.

არაფორმალური განათლება:

- თითოეულ მოსწავლეს აძლევს ადეკვატურ სივრცეს და დროს უნარ-ჩვევების გამოსავლენად;
- არაფორმალური განათლება არის თვითკონტროლირებადი და თვითმართვადი სწავლების ტიპი, რომელსაც ჩვეულებრივ არ აქვს ფორმალური სასწავლო გეგმა და შეიძლება იყოს სპონტანური;
- მოსწავლე განსაზღვრავს როდის, სად, როგორ, რა ფორმით დაიკმაყოფილებს ინტერესს;
- მოსწავლე არ არის დაძაბული, არც დროში შეზღუდული;
- არ გულისხმობს მხოლოდ მასწავლებლისგან მიწოდებულ ცოდნას, შესაძლებელია თანატოლისგან სწავლა;
- მოსწავლე არ არის მოწყენილი, რადგან საკვლევი საკითხი, აქტივობები, მისი ინტერესითაა შერჩეული;
- მოსწავლე საკუთარ თავს უსახავს მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად თავად ისწრაფვის;
- არ საჭიროებს წინა გამოცდილებას ან თემის სწავლას;
- სწავლა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ტემპით;

შინაარსი და სასწავლო მასალები შეიძლება გამოიყენოთ იმ ტემპით, როგორც საჭიროდ ჩათვლით.

არაფორმალური სწავლება გულისხმობს:

- კომფორტულ ზონაში დასვენებას და ინფორმაციის უფრო ეფექტიანად აღქმას.
- კლუბურ მუშაობას თანატოლებთან ერთად.

არაფორმალური განათლების ფორმულა ასეთია: ,,თუ არ მოგწონს, რასაც ვაკეთებთ, ვცადოთ სხვანაირად“ .

თანამედროვე მოსწავლე აღჭურვილი უნდა იყოს სხვადასხვა უნარებით. უნდა შეეძლოს კრიტიკული აზროვნება, შეფასება, ანალიზი, მსჯელობა და ცოდნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს საკლასო სივრცეში დანერგილი არაფორმალური განათლება. მოსწავლეები უფრო თავისუფლები და შემოქმედებითები ხდებიან. არაფორმალური განათლების ფარგლებში ბევრი პროექტი განვახორციელეთ ონლაინ თუ საკლასო სივრცეში. შემოგთავაზებთ ერთი პროექტის აღწერილობას.

პროექტის დასახელება: დედამიწა ჩვენი სახლია, გავუფრთხილდეთ მას!

პროექტის მიზანი: მოსწავლეს განუვითარდეს:

- ეკოლოგიური წიგნიერება;
- კვლევა-ძიების უნარი;
- დაკვირვების უნარი;
- შემოქმედებითი უნარი;
- მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და პრეზენტაციის უნარი;

პროექტის მთავარი იდეა: მოსწავლეები გაეცნობიან, თუ რა ზიანს აყენებს დანაგვიანებული გარემო ადამიანის ჯანმრთელობას. მიხვდებიან, რომ სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი მიზეზი, ადამიანთა დაუდევრობაა. შეძლებენ საუბარს იმაზე, თუ როგორ ბინძურდება გარემო, რა იწვევს დაბინძურებას და როგორ შეიძლება დაიცვას ადამიანმა გარემო დაბინძურებისგან.

პროექტის აქტუალობა: მიღებული გამოცდილების ცხოვრებაში გამოყენება. ეკოლოგიური წიგნიერება, ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მთავარი გამჭოლი კომპეტენციაა, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებში ეკოლოგიური წიგნიერების განვითარებაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია.

სასწავლო პროცედურები:

- საუბარი გარემოსდაცვით საკითხებზე. (იხ. მასალა)
- ვიდეორგოლების ნახვა და გაანალიზება(YouTube არხზე ბევრი ვიდეორგოლია. საკითხების მიხედვით შესაძლებელია ამორჩევა, ნახვა და კლასში განხილვა) .
- ვისაუბრეთ რა იწვევს ჰაერის, ნიადაგის, წყლისა და გარემოს დაბინძურებას.
- პერსონაჟის რუკის დახმარებით დაახასიათეს ადამიანი და დედამიწა.
- განვიხილეთ ლექსი „მე ვარ ადამიანი“. ვისაუბრეთ უცხო ლექსიკურ ერთეულებზე, გამოვიყენეთ „ცნების რუკა“.
- პროექტის ფარგლებში აღინიშნა ყველა მნიშვნელოვანი თარიღი:

21 მარტი- ტყის საერთაშორისო დღე.

22 მარტი- წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე.

28 მარტი- დედამიწის საათი.

23 აპრილი-დედამიწის დღე.

15 სექტემბერი- მსოფლიო დასუფთავების დღე.

პროექტის შეჯამება: ეტაპობრივად შეძენილი ცოდნის გამოყენებით, მოსწავლეებმა შექმნეს პრეზენტაციები, ბუკლეტები და მოუწოდეს ადამიანებს გარემოზე ზრუნვისკენ. დაამზადეს ნაგვის ურნები და დიორამები. დიორამებსა და პრეზენტაციებში საუბრობდნენ არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. არაფორმალური განათლების მიზანიც სწორედ ესაა, რომ მოსწავლემ მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. დაინახოს პრობლემების მოგვარების გზები და გაუზიაროს სხვებსაც. არაფორმალური განათლება, ფორმალურ განათლებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლეს გახდეს დაკვირვებული, შემოქმედი, კრიტიკულად მოაზროვნე და წიგნიერი მოქალაქე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Non-formal Education – Guide to a Holistic Growth
- What is non formal education and why it is important
    - Non- formal education.
    - FORMAL EDUCATION WILL MAKE YOU A LIVING .

- EURO EDUCATION.